


4
1966

თეოქონი
ბიზნესი

№ 14 (1240) თბილისი, ივლისი 1966
გაზეთი
გამომცემი 44-ე ფაქტი უსსი 20 კვპ



ნ.ბ. დ. ზარაფიშვილი

ოქროს თევზი და მეგაღარი

- კიდეც რას მთხოვ?
- დინამიტიც მაზოვინდა!



ნ.ბ. ჯ. ლოლუასი

— ვერ მიგვასწავლი კული-გორის გზას?
— რატომ ვერ, ძამო, მამბრამა, ტყე აღარ არის და...

ათღლიანი საქმე

კოლიას დიდი ხნის ლოდინი არ დასჭირვებია. მოსაცდელში სულ ხუთიოდე კაცი თუ იქნებოდა, და ისინიც, უცბად მორჩნენ საქმეს...

მდივანმა ქალმა ცერა თითი უხმოდ, მხარს ზევიდან გაიშვირა კარისკენ. „მმართველი“ — ვეებერთელა ასოებით ეწერა კარის გვერდით გაკრულ აბრას.

კოლიას გული წამით გაუჩერდა, შემდეგ მსუბუქად შეუხტა და... სხეულში რაღაც საშინელი მოთენთილობა იგრძნო.

— ღმერთო, შენ მიშველე! ღმერთო, შენ!.. — ფრთხილად შეალო კარი.

— შეიძლება, პატივცემულო ვასილიჩ?

— რა გვარი ბრძანდებით თქვენ, ამხანაგო?! — ჩაესმა კოლიას ვასილიჩის ბოხი ხმა და მთლად მოიკუნტა.

— მე, ბატონო, ჭყონია გახლავართ, ბატონო, კოლია!..

— მერე?

— აი, ის — პატივცემულმა, პატივცემულო, შალვოვიჩმა რომ... აი, ის და...

— ხოო, მოდი მერე, შე კაცო, რა კარებთან დამდგარხარ ამხელა კაცი, აგერ დაჯექი ახლოს. როგორ მყავს შალვოვიჩი? გული კიდევ აწუხებს, თუ დაანება სმას თავი?

კოლიას ერთბაშად გაუარა მოთენთილობამ და, საერთოდ, ყოველგვარმა წუხილმა. კი არ მივიდა, მიფრინდა ვისილიჩთან; ყველაზე ახლოს მდგომ სკამზე ჩამოჯდა და ატიტიინდა:

— კარგად გყავს, ბატონო, შალვოვიჩი, კარგად. სმით კი სვამს, რაჯა არ სვამს, მარა, ისე არა, ძველად რომ იცოდა, გემასსოვრებათ, პატივცემულო ვასილიჩ, ფეხს რომ მოირთხამდა კარებთან და იყო ერთი...

— ხო, ხო, ხო! რა იყო მაინც, კაცო! რა უსაშველო იცოდა! რა გინდა ახლა შენ?!

კოლიას წამით სისხლი გაეყინა. მერე კეფასთან რაღაც აჩხრიალდა.

— გეტყოდათ შალვოვიჩი; რაღაც ადგილი გაგთავისუფლებიათ და...

— რაღაც კი არა, ბრწყინვალე ადგილია, ამხანაგო ჭყონია, ის! — იწყინა ვასილიჩმა, — წადი ახლა და ათ დღეში გამოიარე.

— აჰ!

— რაჯა!

— სამ დღეში გამოვივლი, ბატონო!

— რას მიბედავ შენ!

— ხუთ დღეში, ბატონო!..

— ამხანაგო!..

— ხომ იცით, პატივცემულო ვასილიჩ, რამდენი ხანია უმუშევარი ვარ და მაქვს ახლა ამდენი შესაძლებლობა? ათი ძვირია, ბატონო! სხვა დროს ჩემზე იყოს, ბატონო, და შეიძლება დღეში გამოვივლი.

— რას მევაჭრები, ამხანაგო, შენ, რას?! მაგ ადგილს შენ მასწავლი მე? ყოველთვიურად იქნები ათღლიანი.

ეს ისეთი არგუმენტი იყო, რომ კოლიამ საბოლოოდ დაყარა ფარ-ხმალი, ერთხელ კიდევ იგრძნო სხეულში რაღაც გამჭოლავის დავლა, ქინძივით გადაღუნა თავი და ჩუმად ამოიღულულა:

— კარგი, ბატონო, იყოს ათი!

ვასილიჩმა დილაკს თითი დააჭირა და მაგიდის კალენდარს დაუწყო ფურცვლა.

ოთახში უწარბო, უწამწამო და დიდ, წითელტურებიანი მდივანი გოგო შემოვიდა.

— გისმენთ, ზურაბ ვასილიჩ!

— დღეს ოცია ხომ? შეადგინეთ ბრძანების ტექსტი, 15 რიცხვიდან ამხანაგ კოლია ჭყონიას იმ ადგილზე დანიშნვის შესახებ. ამრიგად, გაიცანით ერთმანეთი! ჩვენს სამმართველოს საქმის მცოდნე და კიდევ ერთი უანგარო მუშაკი შეემატა.

კოლიას აღარ ახსოვს, როგორ გაიცნო უწარბო და უწამწამო მდივანი ქალი, როგორ გამოვიდა გარეთ და, საერთოდ, არ ახსოვს, რა წვალებით გაიარა ერთმა გრძელმა თვემ...

კოლია
„საწყობი!“

(სერენადა)

თუ ვერ იყილო ტუფლები, კიდევ არ არის გვიან; არის ასეთი „საწყობი“ — „შავი ბაზარი“ ჰქვია.

თუ აფთიაქში ვერ ნახო მედიკამენტი გულის, იმ „შავ ბაზარზე“ იპოვნი, ჯიბეში თუ გაქვს ფული.

ბავშვის ტანსაცმელს დაეძებ? კვლავ „შავ ბაზარზე“ ადი! იქ, შენ კი არა, სავაჭროდ თვით რევიზორიც დადის.

რასაც ინატრებ, დაგხვდება. სამოთხე არის სრული; მდიდრდება ქორი-ვაჭარი ხალხის ნაშრომი ფულით.

ნიანგო, ერთი თხოვნა მაქვს, რა ვქნა, პირში ვარ მთქმელი: გვალირსე მალაზიებში საჭირო საქონელი.

ბ. კახიანი

ბუფე კუკაბაშვილი

რესპუბლიკის რაიონებში დიდი რაოდენობით აქვთ სანადირო თოფები იმ პი-
რებს, რომლებიც მონადირეთა კავშირის წევრები არ არიან და თოფებიც, დაღ-
გენილი წესით, რეგისტრაციაში არა აქვთ გატარებული.

ნ.ბ. ბ. ფირსანკალანის



— ცოლს თხოულობა?
— არა, თოფს! ოცი ფალია, რეგისტრაციაში გაუტარებლად მაქვს.

— გავაპლიერეთ ბრძოლა ბრაკონიერ-
ბის წინააღმდეგ! თუ 1962 წელს გამოვლი-
ნებულ იქნა ორასი უმეტესწილად, სამოცდა-
საშვი ეს რიცხვი ერთი საგამ გავზარდეთ,
სამოცდაოთხი — ერთი ოთხად, სამოც-
დახუთი — ერთი ხუთად, მიმდინარე
წელს კი...

მწერია სწავი

მართლმ, ერთმა დამწებმა კრიტიკოსმა ერთ რედაქტორს ერთი კრიტიკული წერილი მიუ-
ტანა. რედაქტორმა ოდნავ გაუღიმა, წერილი ნახევრად გადაუთვალღერა და მთლიანად დაუწუნა:
საკუთარი სიტყვა არა გაქვსო, შაბლონიაო, ტრაფარეტიაო, — ამოდავა იმ იმედით, რომ, რედაქ-
ციიდან გასვლისთანავე, იგი შეწყვეტდა კრიტიკოსობაზე ოცნებას, კაბინეტის კარს არასდროს
შეუღებდა და, თუ ოდესმე გაბედავდა მუშაობას, მხოლოდ მვისრედ.

დამწებ კრიტიკოსს კრიტიკოსობაზე ოცნება არ შეუწყვეტია (რა ძალა ადგა!), არც მვისრედ
გაფორმებულა (ერთბუნდ უკვე მუშაობდა ამ თანამდებობაზე) და მეორე დღეს მეორედ შეუღო
კაბინეტის კარი: დამმტკიცეთ, რომ შაბლონისტი ვარო.

რალა გზა იყო! რედაქტორი მტკიცებას შეუღდა: სათაურიდან დავიწყეთ — „ნათელი სახე-
ბი“... გაცვეთილია! ასე მილიონჯერ თქმულა. მკითხველი, მოგესხენებათ, სათაურშივე უნდა და-
აინტერესოს. თუნდაც პირველი ფრაზა ავიღოთ — „არაინ მწერლები, რომლებიც“... ყველა ასე
იწყებს — „არაინ“. რატომ? იქნებ, უკვე იყვნენ და აღარ არაინა?.. აი, ესაა, ჩემო კარ-
გო, შაბლონი!

რედაქტორმა ასე ჩაიკითხა ბოლომდე მთელი წერილი, მერე ჰკითხა: რაც გითხარით, გა-
საგებია? დამწებისათვის გასაგები იყო ისიც, რომ რედაქტორი გახლდათ გასაგები, მაგრამ,
როგორც წესი, ძირს თვითონ გაეგო და მესამე დღეს მესამედ შეუღო კაბინეტის კარი.

ამჯერად რედაქტორმა მთლიანად გაუღიმა და ახალი კრიტიკული წერილიც მთლიანად გა-
დაუკითხა: აი, ეს მომწონს! „არაბნელი სახეები“... მშვენიერია! ორიგინალურია!.. „არ არაინ
მწერლები, რომლებიც ნახევარ ჰონორარს სჯერდებოდნენ. ზოგი ორმაგსაც ითხოვს“... იფ, იფ,
იფ.. ან კიდევ — „არსებობს ბრწყინვალე წიგნები ერთი ავტორისა, მაგრამ არ არსებობს ცულ-
წიგნი ორი ავტორისა. ამისი საუცხოო მაგალითია: სალტიკოვი და შჩეღერინი, ნოვიკოვი და პრი-
ბოი, სერგეევი და მცენსკი, ლებედევი და კუმაჩი, ერიშ და მარია რემარკები და სხვ“... ჩინებუ-
ლია, შეუღარებელია! წერეთ ამ სტილში.

დამწებმა კრიტიკოსმაც წერა და წერა ამ სტილში. ზედიზედ გამოაშუშა წერილები: „არა-
პესიმისმის უშრეტო წყარო“, „არაკაცთმოდულეობის მომღერალი“, „შეჯდა მწერი ხესა“ და სხვ.
დღეს იმ დამწებ კრიტიკოსზე დამწებებს ვერ ვიტყვი, რადგან მწერი რომ ხეზე შეჯდება,
თავი არწივი ჰგონია. თუმცა, რედაქტორმა შესვა ხეზე და რა მისი ბრალია?

ბ. ზარნაძე



ნ.ბ. ნ. მაღალკონიანი

ჩხიკვმა დაწერა ოპერა

(იგავი)

„ჩხიკვმა დაწერა ოპერა!“ —
ქვეყანას ამცნეს პრესაში.
ავტორი აღარ მოკვდება,
ქებით ასწიეს ზეცაში.
„პრემიერაა სამშაბათს!“ —
გვაუწყა ჭრელმა აფიშამ..
უსმენენ, მაგრამ წააგაგს
უგერტიურას შაშვისას.

პირველი აქტი გაიხსნა
სოროს მხედრული გუგუნით,
ნაცნობი ჰანგი გაისმა:
რაფსოდიაა უნგრული.
ნაცნობი მელოდიები
მეორე აქტშიც გაისმის:
ზოგს მოეჩვენა მოცარტი,
ზოგს — „ფიგარო“ და „დაისი“

მისა ზილდელი

ქარაგმეა

ზოგიერთი რაიონის სატყეოში, სამი-ოთხი წლის წინათ, მოჭრეს ათასობით კუმბეტრი ძვირფასი სამასალე მერქანი, რომელიც დღემდე გამოზიდული არ არის და ამჟამად შეშადაც კი აღარ ვარგა.

საქართველო
ბიზლირთეკა

□ **გამფლანგველმა** შვილიშვილს აგარაკი აუშენა და — საშვილიშვილო საქმე გააკეთო.

□ **გამხილველმა** თქვა: წონაში დაკლებისათვის სპორტსმენს აქებენ, მე — მიაბატონებენო.

შ. ბიპაზვილი

□ **კლანძმებმა** მზესთან იჩიულეს: დეღამიწა დაპყრობას გვიპირებსო.

□ **ლიწმამ** თქვა: თუ მომყვებით, საგზალი არ დაივიწყოთო.

□ **შაპარმა** თქვა: რაც ქართულმა ჩიამ სახელი გაითქვა, მე წყალმა წამიღოო.

ა. კორინთელი

□ **მზენებელს** ჰკითხეს: არსაკიძეს რატომ მოსჭრეს მარჯვენა და — „ნარიადების“ შედგენა არ იცოდაო.

□ **ლოთ** მონტიორს ჰკითხეს: რა საერთოა შენსა და ელექტრომრიცხველს შორის და — სამუშაო საათებში ორივე გამორთულები ვართო.

ბ. ნოზაძე

□ **ეპიში** ავადმყოფის მიღებაზე ფულს იღებდა და სინდისზე — ხელს.

□ **მზენებელი** ჭერ ცულ სახლებს აგებდა, მერე — პასუხს.

□ **რბამელი** დამნაშავეს დაკავების მაგივრად, თავს იკავებდა.

ა. თაყაძე

ურანული იუმორი

როგორ უზვიძინოთ ბიზლირთეკა

- მართი მეგობარი მეორეს ეწვია და წიგნი თხოვა.
- შენანება წიგნის თხოვება. არასოდეს აბრუნებენ.
- დარწმუნებული ხარო?
- საესებით. ჩემი ბიბლიოთეკა ასე მაქვს შექმნილი.

მატარებელში

- პაპონი ხალხით იყო გაჭვდილი. კონდუქტორმა, რომელიც ბილეთებს სინჯავდა, პატარა ბიჭს მოჰკრა თვალი.
- მითხარი, ბიჭი, რამდენი წლისა ხარ?
- შინ შვიდის, მაგრამ დღემდე მითხრა, რკინიგზით მგზავრობისას, ხუთი წლის ხარო.

ძალმა კითხვა არ იცის

- თქვენ ყოველთვის ეძებთ დაკარგულ ძალს?
- დიას, ყოველთვის.
- რატომ გაზეთში არ განაცხადებთ?
- რა საჭიროა? ძალმა ხომ კითხვა არ იცის?!

ფრანგულიდან თარგმნა
ნათელა შაპარაშვილმა



ახ. დ. ზარაფთაშვილისა

ლოგი: ადვილთ და მითხარით, რომელმა მხეცმა ჰქენიქვას?!



რ უ ს უ კ ი — ქ ქ რ ი უ ქ ი ა მ რ ქ ს ა მ ნ ი

Достижение — შენას დოსტები.	Колхозник — „გაზ-69“.	Вторжение — ორცოლიანობა.
Необходимость — არ შემოუარო ხილს!	Снижение — შენას სიზმრები.	Конюшня — უშნო ცხენები.
Паспорт — პასი გააფუჭე!	Огурчик — პატარა აფური.	Бабочка — ბაბო აღარ არის.
Смородина — სამშობლოს სადღეგრძელო.	Стоимость — შესდექ, ხილია!	Насколько — ჩვენ რამდენი ვართ?
Искушение — ის კუ შენია.	Босоножка — ბასას ფეხი.	
Сонатина — სონა და თინა.	Киловатт — კილო ბამბა.	

მთავარი რედაქტორი: ნოდარ ღუმბაძე. საკრედიტო კოლეგია: ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, გ. ნიშნიანიძე, ნ. შველიძე, თ. ჭელიძე. საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი, სატირისა და იუმორის ყურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нянгги“.

რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 9-76-69, საერთო განყოფილების — 8-10-78

ხელმოწ. დიაბ. 15/VII-1966 წ. ქალ. ზომა 70x108 1/2, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კ. ც. გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 2543 უფ. 08158 ტირაჟი 55000



სხვადასხვა პოლიტიკური მოტივების
მო, საფრანგეთმა დატოვა წაღო.

ИНДЕКС 76317



— ნუ მიგვაბოძავ, ნუ დაგვინებრავ ოჯახს!